ხაშურის მოამბე

№30 (111) 7 აგვისტო, ორშაბათი, 2017 წელი

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე ამომრჩევლებს შეხვდა

ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ საზოგადოებას საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მაჟორიტარი დამსწრე საზოგადოებას პარლამენტში საკუთარ საქმიანობაზე, იმ რეფორმებსა თუ ინიციატივებზე ესაუბრა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა. მან საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ბიუროს როლსა და საქმიანობაზე ოლქში, მათ შორის განხორციელებულ, მიმდინარე პროექტებზე, მოქალაქეებისათვის განკუთვნილ სერვისებსა და სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დეკემბრიდან დღემდე, დეპუტატმა შეხვედრა გამართა 1700-ზე მეტ მოქალაქესთან; პირადი კონსულტაცია გაუწია 1200-ზე მეტ მოქალაქეს; სხვადასხვა სტრუქტურებთან უშუამდგომლა 115 -ზე მეტ მოქალაქეს; პირადად გაეცნო 350-400 ოჯახის მდგომარეობას, როგორც მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით; ხუთ საჯარო სკოლას გაუწია რეკომენდაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან; მისი ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის; მისი ხელშეწყობით საპარლამენტო ბიუროში 32-მა ახალგაზრდამ გაიარა სტაჟირება საჯარო და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებისათვის აუცილებელი საბაზისო ჩვევებისა და მმართველობითი უნარების გაუმჯობესებისათვის.

შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მედიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა კითხვები დაესვა დეპუტატისათვის.

აღნიშნული ღონისძიება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის აიდ-ის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა.

სიმონ ნოზაძე ერთწლიან ანგარიშს წლის ბოლოს ფართო საზოგადოებისთვის გეგმავს.

სიმონ ნოზაძე შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს თანამშრომლებსაც შეხვდა. სალოკომოტივო დეპო 450 მუშა-მოსამსახურეს ითვლის და რკინიგზის ერთ-ერთი სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. შეხვედრას ესწრებოდნენ სალოკომოტივო დეპოს უფროსი შოთა ლაბაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე.

დეპუტატმა ისაუბრა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ერთ-ერთი წარმატებული და სწორი კურსია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მაჟორიტარმა აგრეთვე აღნიშნა საკუთარ როლსა და ჩართულობაზე მუნიციპალიტეტში საჭირო პროექტებისათვის თანხების მოზიდვისა და განხორციელების კუთხით. დეპუტატი შეეხო სამომავლო გეგმებსაც, როგორიცაა სურამის, როგორც ტურისტული ზონის აღორძინება, პროფესიული სასწავლებლის დაარსება და სხვა.

ბატონმა სიმონმა მადლობა გადაუხადა დეპოს თანამშრომლებს ინიციატივისათვის, გამოენახათ დრო და პირისპირ ესაუბრათ საინტერესო საკითხებზე ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატთან.

ხაშურის სალოკომტივო დეპოს უფროსი შოთა ლაბაძე: გასულ წლებში, არც ერთ დეპუტატს არ გამოუჩენია ყურადღება ჩვენი სამსახურისადმი, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში იგრძნობოდა უმნიშვნელო დაინტერესება. დიდი მადლობა ბატონ სიმონს მობრძანებისთვის, უშუალოდ აქ მომუშავეთა სურვილი იყო ხაშურის დეპუტატთან შეხვედრა და გასაუბრება. ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე: შეხვედრა, რომელიც გაიმართა თოჯინების თეატრში, ეს იყო ერთგვარი ანგარიშის წარდგენა ჩემი ამომრჩევლის წინაშე, ესაა იმ საქმიანობის გაცნობა მოსახლეობისათვის, რომელსაც მე ვეწევი პარლამენტში, ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. შეხვედრები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება მოსახლეობასთან, მაქსიმალურად გამოვიყენებ აგვისტოსა და სექტემბრის თვეს, რადგანაც პარლამენტში პლენარული სხდომები არაა ჩანიშნული. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას სალოკომოტივო დეპოს თანამშრომლებთან, ეს თავად კოლექტივის სურვილი გახლდათ, შეთავაზება კი მივიღე დიდი სიამოვნებით. მაჟორიტარულ ოლქში მსგავსი ტიპის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულები ვართ და ამასთანავე, უკეთ ვეცნობით რეგიონში არსებულ პრობლემებს, ვიზიარებთ და ვცდილობთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით მაქსიმალური მხარდაჭერა აღვუთქვათ მათ. ასევე უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია სურამის ტურისტული პოტენციალის გამოყენება, რისთვისაც მეტი მუშაობა გვჭირდება. პრობლემა ჯერ კიდევ უამრავია, თუმცა ჩვენ აქტიურად ვართ ჩართულები თითოეული პრობლემის გადაჭრაში.

მრავალეროვნული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი-2017“-ის „თანამონაწილე“ ხაშურიც გახდა

საქართველოში მიმდინარე სამხედრო მრავალეროვნული სწავლება “ღირსეული პარტნიორი - 2017“ - ფარგლებში, 31 ივლისს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ცენტრალურ მოედანზე, ადმინისტრაციული შენობის წინ, გაიმართა სწავლების მონაწილე ქვეყნების სამხედრო ტექნიკის დათვალიერება.

”ძალა პარტნიორობაშია” მრავალეროვნული სწავლება ”ღირსეული პარტნიორი - 2017”-ის მთავარი გზავნილია, რომელსაც საქართველო უკვე მესამედ მასპინძლობს. წელს სწავლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიანია და მასში ნატო-ს წევრი და პარტნიორი თერთმეტი ქვეყანა მონაწილეობს, ესენია საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, სლოვენია, სომხეთი, ესპანეთი, აზერბაიჯანი, რუმინეთი და უკრაინა. სწავლების აქტიური ფაზა 12 აგვისტოს ვაზიანის მე-11 სასროლეთზე საჩვენებელი წვრთნით დასრულდება.

”ღირსეული პარტნიორი 2017” ემსახურება სტაბილურობას, თავდაცვითი და შეტევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, ნატო-ს რეაგირების ძალების საბრძოლო შესაძლებობების გაზრდას, NRF-სი მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის გაღრამავებას.

ხაშური ერთადერთი ქალაქი არ არის, სადაც „სტრაიკერებმა” ამერიკული ჯავშან-ტქნიკის დემონსტრირება მოახდინეს. სენაკიდან ვაზიანამდე მარშურტირებისას ამ ტექნიკის დათვალიერების საშუალება ურეგოთ მოქალაქეებს ქუთაისში, ზესტაფონში და გორშიც მიეცათ. განსაკუთრებით ბავშვებმა იხალისეს, რომლებსაც „სტრაიკერები” ყველაფრის ნებას აძლევდნენ და მათაც ყველანაირი ტექნიკას თუ იარაღს „გაუსინჯეს გემო”.

(ფოტოკოლაჟი ნატოს ჯარისკაცების ხაშურში ,,ვიზიტის" შესახებ იხილეთ მეორე გვერდზე.)

მრავალეროვნული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი-2017“-ის „თანამონაწილე“ ხაშურიც გახდა



ვლადიმერ პუტინი: ეჰ, ხაშური, ჩემთვის მინდოდა, მაგრამ ამ ამერიკელებს ხომ ვერაფერს დაასწრებ...

ზოგი რამ რაიონში გავრცელებული გვარ-სახელების შესახებ

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხმ“ №29)

ასევე ადგილობრივი წარმოშობისაა გვარ-სახელი ულუმბელაშვილი და რომელიც უკავშირდება რაიონის ცნობილ - ულუმბას, ულუმბელიშვილი - ულუმბელაშვილი).

გვარ-სახელი სავანელი უნდა მომდინარეობდეს სოფელ სავანის უბნიდან, თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სავსებით შესაძლებელია, ამ გვარის წინაპრები ბორჯომის ხეობიდან, კერძოდ, სავანლის ხევიდან არიან გადმოსულები აქ.

ადგილობრივი წარმოშობის უნდა იყოს აგრეთვე სურამელაშვილიც, მაგრამ ეს გვარ-სახელი დღეს რაიონში არ გვხვდება.

ისტორიულ წყაროებში გვხვდება ისეთი გვარებიც, რომლებიც ადგილობრივ ტოპონიმიასთან არის დაკავშირებული, თუმცა ეს გვარები დღეს აღარ ფიგურირებს, კერძოდ, გვარი სარმანიშვილი (სოფელი სარმანიშვილის კარი) და ჩუმატელიძე (სოფელი ჩუმათელეთი).

***

ამჟამად ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, გარდა ქართული გვაროვნული სახელებისა, განსაკუთრებით გავრცელებულია ოსური და სომხური გვაროვნული სახელები. მათ მოსდევს რუსული, გვხვდება აგრეთვე

უკრაინული, აზერბაიჯანული, ბერძნული, გერმანული, იტალიური, პოლონური და სხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი გვაროვნული სახელები.

ებრაული მოსახლეობის გვაროვნული სახელები, რომელიც მხოლოდ სურამში გვხვდება, ძირითადად ქართული - ძე და -შვილ ფორმატითაა წარმოდგენილი (ფიჩხაძე, მამულაშვილი, ჯანაშვილი, ჯინჯიხაშვილი...). ძალზე მცირეა რული - ოვ ფორმატით (მამაშეროვი...).

ქართული - შვილ ფორმატითაა წარმოდგენილი აგრეთვე ოსური გვაროვნული სახელების უმეტესობა (გასიშვილი, გაგლოშვილი, ქელეხსაშვილი...). გვხვდება აგრეთვე რუსული -ოვ და -ევ ფორმატითაც (გაგლოევი, გასიევი, ქოქოევი, გობოზოვი...) თვით ოსური ფორმატით თითქმის არცერთი ოსური გვაროვნული სახელი არ გვხვდება.

იგივე შიძლება ითქვას სომხურ გვაროვნულ სახელებზეც. მართალია, გვხვდება საკუთრივ სომხური ფორმატით დაბოლოებული გვაროვნული სახელები: (აბოიანი, აბოიანცი, ადამიანცი, ავაქიანი, ჟამგოციანი...), მაგრამ დიდი ნაწილი მაინც რუსული - ოვ ფორმატით არის წარმოდგენილი (ავაქოვი, აკოფოვი, ამბარცუმოვი, ბაღდასაროვი, გასპაროვი...).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რაიონში გვხვდება არაერთი ქართული გვაროვნული სახელი რუსული -ოვ ფორმატით, რომელიც მიკუთვნებულია სომხური ეთნოსისადმი (მამულოვი, მამინოვი...).

***

ხაშურის რაიონში განსაკუთრებით გავრცელებულია ისეთი გვაროვნული სახელები, როგორებიცაა: ნოზაძე, გელაშვილი, გოგალაძე, ლომიძე, ტაბატაძე, ხაჩიძე, ქურდაძე, ლაცაბიძე, შუბითიძე და სხვა. ოსური გვაროვნული სახელებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია გასიშვილი და გაგლოშვილი.

გვარ-სახელი გელაშვილი რაიონის 80 დასახელებული პუნქტიდან გავრცელებულია 48-ში, მას მოსდევს გოგალაძე (38), ლომიძე (32), ნოზაძე (31), ტაბატაძე (28), ხაჩიძე (27), გრიგალაშვილი (26), მულაძე (23), შუბითიძე (21), ბლიაძე, კაპანაძე (20), კურტანიძე, ჩადუნელი, ტეფნაძე (17) და ა.შ.

ხაშურის რაიონში განსაკუთრებით გავრცელებულ გვაროვნულ სახელებში არის ე.წ. „შიდაგვარებიც“ ანუ „შტო-გვარები“, მაგალითად ისეთი გავრცელებული გვაროვნული სახელი, როგორიცაა გელაშვილი. რამდენიმე ათეულ „შიდაგვარს“,„შტო-გვარს“ ითვლის, რაც თავისთავად, ცხადია, გამოწვეულია ამ გვარის მატარებელთა სიმრავლით. ეს „შიდაგვარებია“: კაჭუნაშვილი, ქექიეები, ქოთანეები, ჩხეიძეები, აბულაძეები, ქვრივიშვილები, კოკენაშვილები, ფანდიები, ბოტიყვერა, ბატიყელეები, ცაცანეები, თხისთავეები, ღვანკები, გაბრიელები, ბღვერიები, პრიწები, ცეფიები, ოთიაშვილები, გარსევანები, ჯღორეები, გიორგაშვილები, ჩექმეები, დამბურაშვილები (დამბურეები), ძამულეები, ღვდლიანთები, კოშეები, ხოსიაშვილები, ფუჟურეები, ფაქიზეები, ჭრელეები, და სხვა. იგივე ითქმის ხაჩიძეებზე (ჩოგნეები, გოტელეები, ტარუნები, სეხნიები, გზირიშვილები...) გოგოლაძეებზე, (ჯორეები, ყვინჩილიები, კოპტონები, თიხაცუები...). ლომიძეებზე (ტიკიღეჭიები, კრეჭიები, ვირლომიძეები...), გრიგალაშვილებზე (წვენიტირიები...), მაღრაძეებზე (კუკურები...) და სხვა განსაკუთრებულ გავრცელებულ გვარ-სახელებზე.სოფელ ალში განსაკუთრებით გავრცელებულია გვარ--სახელი ნოზაძე. მარტო ამ სოფელში ეს გვარი 11 „შიდაგვარს“ ანუ „შტო-გვარს“ ითვლის (ივანიკიანთი, უმცროსაანთი, წურიეენთი, გოგილეენთი, შიოეენთი, აგაშენაანთი, გიგლაანთი, მამუკიეენთი, დათილიეენთი, გაბელიაანთი, ბესაანთი). გვარ-სახელს ნოზაძე, რომელიც სხვა ადგილებშიც არის გავრცელებული, ასევე მრავალი „შტო-გვარი“ აქვს.

***

ხაშურის რაიონის თანამედროვე გვარ-სახელების ძირითადი ფონდი შევსებულია XIX საუკუნიდან. ეს შევსება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში დაიწყო რკინიგზის მშენებლობა და ხაშური ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძად ამიერკავკასიის სინამდვილეში.

ამიტომ არის, რომ რაიონში იშვიათად გვხვდება მისთვის დამახასიათებელი ძირძველი გვაროვნული სახლები, რომლებიც წინა საუკუნეებში (XVI–XVIII სს) იყო გავრცელებული რაიონის ტერიტორიაზე. ასეთი ძირძველი გვარების ფონდი ორ ათეულამდეც ვერ აღწევს. ეს გვარ-სახელებია: ციციშვილი, აბაზაძე, ბებიაშვილი, მურვანიშვილი, გრძელიშვილი, ამირეჯიბი, ქუზიაშვილი და სხვა. თუმცა გვხვდება დღეს გავრცელებული გვარ-სახლების ერთი ნაწილი რაიონის ტერიტორიაზე XVI–XVIII საუკუნეებშიც, მაგრამ იშვიათად შეგვხვედრია ამ გავრების წარმომადგენლები, რომლებმაც თავისი გვარის წარმომავლობის ისტორია არ იცოდნენ. იციან, რომ მისი პაპა, ან პაპის პაპა გადმოსულია აქედან და აქედან, თუ შეიძლება ითქვას, გაწყვეტილია ფიზიკური კავშირი წინა საუკუნეებში და თანამედროვე ეტაპზე რაიონში გავრცელებული ერთი და იგივე გვარ-სახელების წარმომადგენლებს შორის.

ამასთან დაკავშირებით, იბადება ერთი კითხვა: სად წავიდა რაიონის ძირძველი მოსახლეობა, სად გაქრა რაიონის ძირძველი გვარ-სახელების მატარებელი მოსახლეობა? ამ კითხვაზე ჩვენის აზრით, პასუხი მხოლოდ ერთგვაროვანი შეიძლება იყოს.

ქართლ-კახეთის სამეფოსთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდი იყო XVIII საუკუნე, მხედველობაში გვაქვს ე.წ. ლეკიანობა, რომელიც XVIII საუკუნიდან დაიწყო და თითქმის მთელი საუკუნე გრძელდებოდა. ქართლ-კახეთის სხვა დასახლებულ ადგილებთან ერთად ლეკიანობა მძიმე შედეგებით დასრულდა დღევანდელი ხაშურის რაიონისთვისაც. უკვე იმავე XVIII საუკუნეში გვხვდება ლეკიანობის შედეგად არაერთი გაუკაცრიელებული სოფელი რაიონის ტერიტორიაზე. მოსახლეობის ერთი ნაწილი ლეკებთან ბრძოლაში გაწყდა, ნაწილი კი ლეკებმა წაიყვანეს, ნაწილი კი გაიხიზნა, მამა-პაპური ადგილებიდან აიყარნენ და შედარებით მშვიდობიან ადგილებს მიაშურეს. სწორედ ამ მოვლენას უნდა განეპირობებინა რაიონის ძირძველი მოსახლეობის და მათთან ერთად იმ გვაროვნული სახელების „გაქრობა“, რასაც ისინი ატარებდნენ. როდესაც ამ ფაქტზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არაერთი ისტორიული დოკუმენტი და საბუთი.

რაიონის ტერიტორიის ხელახალი ათვისება იმავე XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა ჯერ თეიმურაზ II, ხოლო შემდეგ ერეკლე II. ამ დროს მოსახლეობა ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან გადმოჰყავდათ და გაუკაცრიელებულ სოფლებში ასახლებდნენ. მოსახლეობის მცირე ნაწილი გადმოდიოდა იმერეთიდანაც. ცხადია, ახალ მოსახლეობას მოჰქონდა ახალი გვაროვნული სახელები, რომლებიც ძველის ადგილს იკავებდა.

რაიონის ტერიტორიის ინტენსიური ათვისება დაიწყო XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ახლა უკვე არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან გადმოდის მოსახლეობა, არამედ ფართო ხასიათი მიიღო ზემო იმერეთიდან მოსახლეობის გადმოსვლამ და აქ დასახლებამ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურის რაიონიოს დღევანდელი ტერიტორია ძირითადად იმერეთიდან გადმოსული ქართველობით არის დასახლებული. ამიტომაა, რომ რაიონის გვაროვნული სახელების ფონდის უმეტესობა სწორედ იმერეთში გავრცელებულ გვაროვნულ სახელებს წარმოადგენს.

თუ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე რაიონში ძირითადად ქართული გვარ-სახელები იყო გავრცელებული (აგრეთვე სომხური და ებრაული), ამავე წლებიდან დაიწყო სხვა ეროვნებისათვის დამახასიათებელი გვარ-სახელების შემოსვლა და გავრცელება. ძირითადად ამავე პერიოდიდან მოდის რაიონში დღეს გავრცელებული გვაროვნული სახელების დიდი ნაწილი, თუმცა, რა თქმა უნდა, დღევანდლამდე გვაროვნულმა სახელებმა და მისი გავრცელების გეოგრაფიამ უდიდესი ცვლილებები განიცადა.

და ბოლოს, გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართული გვაროვნული სახელები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი, მისი საფუძვლიანად შესწავლის გზაზე ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება მათი შეგროვება და შეკრება, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალში აღმოიფხვრას ამ სფეროში არსებული ხარვეზი.

თ. ლაცაბიძე

მაღალმთიან რეგიონებში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამამ მოქმედება დაიწყო

1 აგვისტოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ხელშეწყობით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს.



შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნა მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა და მასში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი პირობები და ვალდებულებები.

პროგრამის ფარგლებში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, სწორად მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების გამოყენება. ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა წევრების რაოდენობა არანაკლებ 11 მეპაიეს შეადგენს და მფლობელობაში არანაკლებ 200 სული ფური ან/და დეკეული გააჩნიათ, იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა - ტრაქტორები, სათიბები და სხვა საჭირო ინვენტარი. კოოპერატივებს ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 0,5 და არაუმეტეს 2 ჰექტარი სათიბი გადაეცემა, ხოლო საძოვრის ფართობი - ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 ჰექტარი. მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბებისა და საძოვრების ათვისება და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა. შეიქმნება რძის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმო და თანამედროვე ტექნოლოგიებით იწარმოება მაღალი ხარისხის რძის პროდუქტები.

რა გოგია, რის გოგია!

60-იან წლებში ინტერნატში ვმუშაობდი პედაგოგად. სასწავლო ნაწილის გამგე სხვა სკოლაში გადაიყვანეს დირექტორად და ვაკანტურ ადგილზე რაიკომმა შუა ხანს გადაცილებული კაცი გამოგზავნა, ვალიკო თევზაძე. „გეპეიში“ უსწავლია 2 წელი. საათები არ ჰქონდა, გაკვეთილებსაც არ ესწრებოდა, ცხრილიც მათემატიკის მასწავლებელმა შეუდგინა. ერთი სიტყვით. საქმე არაფერი ჰქონდა. ანდა რა უნდა გაეკეთებინა ამ პედაგოგს?

დირექტორად იყო გიორგი ზედგენიძე, გოლიათური აგებულების, მწერალი, ქართული ენისა და ლიტერატურის დიდებული მცოდნე, წყნარი ხასიათის, სათნო ადამიანი. მის მიერ ხმამაღალი ნათქვამი სიტყვა არ მახსოვს.

ინტერნატში სამი იზოლდა მუშაობდა. კეშელავა, მჭედლიშვილი და გოგია. ორი გაკვეთილის შემდეგ, ბავშვები სამხარზე, სასადილოში კლასის ხელმძღვანელებს მიჰყავდათ ხოლმე. ერთხელ იზოლდა გოგია, რომელიც მე-5 კლასის ხელმძღვანელი იყო, არ წაჰყვა ბავშვებს, კაბინეტში დარჩა და რვეულებს ასწორებდა. მისმა ბავშვებმა კი, ერთმანეთს ფუნთუშები სროლეს და დირექტორმა სასწავლო ნაწილის გამგეს სთხოვა - წადი იზოლდა მოიყვანეო.

წამოვიდა ვალიკო. პირველ რიგში, სამასწავლებლოში შევიდა და იკითხა - იზოლდა ხომ არ არის აქაო, - რუსული ენის „მეტიჩარა“ მასწავლებელი წამოდგა და ჰკითხა - რომელი იზოლდა, პატივცემულო, გოგია? - გოგია კი არა, იზოლდა მინდაო - შესძახა ვალიკომ, გაიჯახუნა კარები და წავიდა. პირველ სართულზე ფიზკულტურის მასწავლებელს შეხვდა და ახლა იმას ჰკითხა. იმანაც იგივე კონტრშეკითხვა დაუსვა - შენ ხომ არ გაგიჟდიო - იყვირა ვალიკომ და თოფნაკრავივით გაიქცა საძინებელ კორპუსში. მედიცინის ოთახში შევიდა და ექთნებს ჰკითხა, იზოლდა ხომ არ გინახავთო? აქაც ისე უპასუხეს: რა გოგია, რის გოგია, იყვირა საწყალმა, ამდენი გიჟი საიდან მოგროვდითო და სასადილოს მიაშურა. სამხარი დამთავრებული იყო. დირექტორი ეზოში იყო გამოსული. იზოლდა გოგიასაც გაეგო მისი მოსწავლეების ამბავი და დირექტორთან ბოდიშს იხდიდა.

- რა ქენი, ვალიკო, მოძებნე იზოლდა? ჰკითხა ღიმილით ბატონმა გიორგიმ (მას უკვე გაეგო, რაც მოხდა), გაცეცხლებულმა ვალიკომ მიაძახა, ამ ჭკვიანმა კაცმა სად შეაგროვე ამდენი სულელიო და გიჟივით შევარდა სასადილოში.

იმ წლებში თბილისის დინამოს მეკარე დავით გოგია იყო!

კლიმენტი სუთიაშვილი

სპეციალისტი გვირჩევს

ცხოველებში ნოდურალური დერმატიტის საშიში დაავადებაა

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე ზონაში, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში თავი იჩინა საშიშმა დაავადებამ – ნოდურალურმა დერმატიტმა. მოსახლეობას დღეს გავაცნობთ ამ დაავადების სიმპტომებს და ვთხოვთ ყველას, მისი აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად მიმართონ ვეტერინარს ან ჩვენ – სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის სამმართველოს ხაშურის ოფისს, რათა ყველა შესაძლო პრევენციული ზომები სასწრაფოთ იქნას მიღებული.

ნოდურალური (კვანძოვანი) დერმატიტი ვირუსული დაავადებაა, ხასიათდება ცხელებით, ლიმფური სისტემების დაზიანებით, შინაგანი ორგანოებისა და კანქვეშა უჯრედების შეშუპებით, ნიკროზით, ყალიბდება კანქვეშა კვანძები (ბორცვები) საქონელს უზიანდება თვალი, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემის ლორწოვანი გარსი.

დაავადება მიეკუთვნება მრავ- განსაკუთრებით საშიშ დაავადებას. დაავადებული ცხოველი იკლებს წონაში, წყვეტს წველადობას, არ მოდის ახურებაში, ბუღები დროებით კარგავენ განაყოფიერების უნარს. ბუნებრივ პირობებში დაავადება გრძელდება 2-დან 4 კვირამდე. მწვავე ფორმის დროს ცხოველს აღენიშნება ცხელება (ტ. ადის 40^0-41^0). მადა დაქვეითებულია, ახასიათებს ცრემლდენა, ლორწოვანი გამონადენი ცხვირიდან. 48-72სთ-ის შემდეგ კი გამოვლინდება კვანძოვანი გამონაყარი – ბორცვები კანზე. მრგვალი ფორმის დიამეტრით. ბორცვების რაოდენობა მერყეობს რამდენიმე ერთეულიდან ასეულობამდე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს კანის მთელ სიგრძეზე.

მძიმე ფორმის დროს აღენიშნება ხანგრძლივი ცხელება, მადის დაკარგვით, სიგამხდრეც. ამონაბორცვები წარმოიქმნება მთელ ტანზე, შეიძლება დაზიანდეს ტრაქეა საყლაპავი მილი, ემართებათ ფილტვების შეშუპება, იღუპება ასფიქციით ან ვითარდება ბრონქოპნევმონია.

დაავადება შეიძლება მომდინარეობდეს უსიმპტომოდ მაგრამ პირუტყვი იყოს ვირუსმატარებელი. ბორცვის გაკვეთისას შემაერთებელი ქსოვილი თეთრი-მორუხო ფერისაა სქელი კონსისტენციით, ბორცვაკები ასევე აღინიშნება კუნთოვან ბოჭკოებში. ფილტვებში, მაჭიკში, ფაშვში, საშვილოსნოზე, პლევრაზე, გულზე. დაავადების გამოსავალი ხშირ შემთხვევაში კეთილსაიმედოა. ცხოველთა სიკვდილიანობა მერყეობს 2-10%-მდე. რაც მთავარია, არსებობს დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა. რომელიც იმუნიტეტს იძლევა 2-3 წელი. დაავადების წარმოშობის ადგილი აფრიკაა.

მკურნალობის სპეციალური მეთოდი არ არის შემუშავებული. სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები, რომელსაც საჭიროებისამებრ ნიშნავს ვეტერინარი.

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მიმართავს თხოვნით: პირუტყვში აღნიშნული დაავადების სიმპტომების გაჩენისთანავე დაუკავშირდით ადგილობრივ ვეტსამსახურს.

ცხოველის გვამი იწვება და იმარხება მიწაში, რძე არ გამოიყენება - არ გაყიდოთ. ხელი შეუწყეთ დაავადების გავრცელების შეზღუდვას. არაკეთილსაიმედო ადგილებში ჩაატარეთ დეზინფექცია. შეგახსენებთ, რომ დაავადება გადააქვთ მწერებს, ტკიპებს.

ნოდურალური დერმატიტით ადამიანი არ ავადდება.

ნინო თედიაშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ვეტინსპექტორი

დაათვალიერეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

1 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მუ-



ნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა. გამგებელი გაეცნო დაბა სურამში მდინარე სურამულაზე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას, სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, მინისტადიონის მოწყობის სამუშაოებს და მოინახულა ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ დამონტაჟებული საბავშვო ატრაქციონები.

სურამში ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტი, რომლის ღირებულებაც 223399 ლარია, შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს.

გვერდისუბნის დასახლებაში მინისტადიონის მოწყობა ბიუჯეტიდან 60 039 ლარით ფინანსდება. პროექტი, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებსა და უფროსი ასაკის მოქალაქეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება.

მუნიციპალიტეტში უკვე სრულდება საბავშვო ატრაქციონების მონტაჟიც. გარდა ბორჯომის ქუჩისა, ატრაქციონები დამონტაჟებულია ფარნავაზის ქუჩაზე, სურამში, სოფელ ცხრამუხასა და სოფელ ქვემო ქინძათში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 23 170 ლარს შეადგენს.

სიახლე: ადგილობრივ არჩევნებზე ქ. ხაშური ოთხ მაჟორიტარულ ოლქად დაიყო

31 ივლისს, №35 ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა

მიღებულ იქნა განკარგულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნებისათვის 35 ხაშურის საარჩევნო ოლქის ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ აქამდე არსებულ ადგილობრივ მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა იყო ცამეტი, დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, №35 ხაშურის საოლქო - საარჩევნო კომისიამ დაადგინა ახალი საზღვრები ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების შექმნის თაობაზე და ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა გაიზარდა 3 -ით, კერძოდ ქ. ხაშური დაიყო ოთხ ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქად, რაც იმას ნიშნავს, რომ საკრებულოში ქ. ხაშური წარმოდგენილი იქნება ოთხი მაჟორიტარი დეპუტატით.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო

ყველას გვინდა სიხარულით ვამცნოთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში იწყება წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მშენებელი XXI“ დღეიდან უკვე შეუდგა სამუშაოებს. არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე და სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი თამაზ ლაცაბიძე. მშენებლების ინფორმაციით, დასრულებული ობიექტის ჩაბარებას 300 დღე დაჭირდება.

საინტერესო შეხვედრა სურამის ბიბლიოთეკაში

28 ივლისს, სურამის ბიბლიოთეკაში შედგა შეხვედრა ფსიქლოგ ნანა ჩაჩუსათან. შეხვედრამ საზოგადოების ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრაზე მოხდა წიგნის „ მშობლებისათვის და არა მხოლოდ...” წარდგინება. ქალბატონმა ნანამ ისაუბრა ბავშვის აღზრდაში მშობლის როლის და სააღმზრდელო დაწესებულებებში ფსიქოლოგის როლის შესახებ.

შეხვედრის ორგანიზატორი იყო გამომცემლობა “წიგნი+ერი”-ს დირექტორი მზია რაზმაძე. ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში მოეწყო გამომცემლობა “წიგნი+ერის” წიგნების გამოფენა- გაყიდვა 40/50 % -იანი ფასდაკლებით. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე, საბავშვო-სააღმზრდელო დაწესებულების მენეჯერები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ეს ჩემი ქალაქია. ნიკა კახეთელიძის ფოტო

„მხიარული დელფინი" გამარჯვებულებს ავლენს

ჩვენს მუნიციპალიტეტში საწყალოსნო სპორტი, სამწუხაროდ, განვითარებული არაა და ამას გასაგები მიზეზები აქვს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, მას შემდეგ, რაც ე.წ ვეფხვაძეების უბანში საცურაო აუზი ამოქმედდა, ამ მხრივ, პირველი ნაბიჯები გადაიდგა და საქმე მკვდარი წერტილიდანაც დაიძრა.

ახლახანს, აღნიშნულ აუზში, „მხიარული დელფინის" თამაშები გაიმართა, სადაც უმცროსი ასაკის ბავშვები გულაღმა ცურვაშიც ცდიდნენ ძალას. ბუნებრივია, პირველი ჩემპიონებიც გამოვლინდნენ. ბიჭებს შორის პირველი სამეული ასე გამოიყურება: თორნიკე ბეჟუაშვილი, გრიშა გოგიჩაშვილი და ნიკა კაპანაძე. გოგონებში ჩემპიონი სალომე ჯოლბორდი გახდა, მეორე-მესამე ადგილები კი – თეკლა ჩარკვიანმა და მარიამ გაგნიძემ დაიკავეს.



ბავშვებს გამოცდილი მწვრთნელი ეკა ფხიკიძე ავარჯიშებს. იმედია, მის ხელში, ეს პატარები დიდ სპორტშიც იტყვიან თავის სათქმელს.

ა ნ ო ნ ს ი

15 აგვისტოს, სურამის კულტურის სახლში ,სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიმართება საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებისა და სტუდია „გუთნის" მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის

„თავგანწირვის ტაძარი"



პრეზენტაცია.

ფილმი ეხება ოჯახის თემატიკას და უაღრესად აქტუალურია ჩვენი ერის დემოგრაფიული კრიზისის ფონზე.

ბილეთის ფასი - 5 ლარი (ბილეთის ფასში შედის ფილმის DVD ვერსი, რომელიც უფასოდ გადაეცემა ბილეთის წარმომდგენს).

სეანსის დასაწყისი - 18.30 სთ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.